პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

# განკარგულება №

2024 წლის ----- მარტი; ქალაქი ბათუმი

**,,ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, რურუას ქუჩა №1-ის და №1ა-ს მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 დეკემბრის №გ-15.15233536 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" 63-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. ,,ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, რურუას ქუჩა №1-ის და №1ა-ს მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 დეკემბრის №გ-15.15233536 განკარგულებაში შევიდეს ცვლილება და განკარგულების მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,, 2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთების უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემა მოხდეს:

ა) პოზიტიური პირობით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 93-ე მუხლი) – უნდა მოხდეს უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემული მიწის ნაკვეთების (ს/კ №05.25.10.075 და ს/კ №05.25.10.068) ,,ბათუმი ავარიული სახლების გარეშე" სახელწოდების პროგრამის ფარგლებში შპს ,,ტექტო ფრანკო 1"-ისათვის (ს/ნ №445571257) პირდაპირი განკარგვის წესით საკუთრებაში გადაცემა იმ პირობით, რომ სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" №008908523 და №008908823 დასკვნების თანახმად, მიწის ნაკვეთების საბაზრო ღირებულება – 637,0 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს.კ. №05.25.10.068) 400 359,0 (ოთხასიათას სამასორმოცდაცხრამეტი) ლარი და 334,0 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს.კ. №05.25.10.075) 209 922,0 (ორასცხრა ათას ცხრაასოცდაორი ლარი, სულ 610281,0 (ექვსას ათი ათას ორას ოთხმოცდაერთი) ლარი შპს ,,ტექტო ფრანკო 1"-ის მიერ ჩაირიცხება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2024 წლის 31 დეკემბრამდე. ასევე, კომპანია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 841,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს.კ. №05.25.10.074) განახორციელებს მოსასვენებელი სივრცის (სკვერის) მოწყობას".

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე**
**რამაზ ჯინჭარაძე**

**გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი**

**პროექტის სახელწოდება და სათაური**

**,,ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, რურუას ქუჩა №1-ის და №1ა-ს მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 დეკემბრის №გ-15.15233536 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი**

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში 2024 წლის 26 იანვარს შემოვიდა შპს ,,ტექტო ფრანკო 1"-ის №10/1424026140-14 კორესპონდენცია სადაც განმარტავენ, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 დეკემბრის №გ-15.15233536 განკარგულების შესაბამისად კომპანიას პირდაპირი განკარგვის წესით ,, ბათუმი ავარიული სახლების გარეშე" პროგრამის ფარგლებში, უნდა გადეცეს ქალაქ ბათუმში, რურუას ქუჩა N1ა-ის მიმდებარედ 637,0 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს.კ. 05.25.10.068) და ქალაქ ბათუმში, რურუას ქუჩა N1-ის მიმდებარედ 334,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს.კ. 05.25.10.075) კომპანიის მიერ 610281,0 (ექვსას ათი ათას ორას ოთხმოცდაერთი) ლარის გადახდის სანაცვლოდ. შპს ,,ტექტო ფრანკო 1" განმარტავს, რომ ამავე მისამართებზე მცხოვრები მოსახლეობის ქირით გაყვანა უნდა უზრუნველყოს კომპანიამ, რისთვისაც ყოველთვიურად უნდა მოახდინოს 50000 ლარამდე თანხების გადახდა. ამასთან, კომპანიამ პროექტის მომზადების ეტაპზე გაწია სხვა არაერთი ხარჯი და მშენებლობის დასრულებამდე ასევე გაიზრდება დანახარჯები, რის გამოც ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მომართეს თხოვნით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 დეკემბრის №გ-15.15233536 განკარგულებით განსაზღვრული მუნიციპალიტეტისათვის ჩასარიცხი თანხის ვადის საბიუჯეტო წლის ბოლომდე გაზრდასთან დაკავშირებით.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

,,ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, რურუას ქუჩა №1-ის და №1ა-ს მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 დეკემბრის №გ-15.15233536 განკარგულებაში ცვლილების შეტანა, კერძოდ ქ. ბათუმში რურუას ქუჩა N1ა-ს მიმდებარედ 637,0კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ №05.25.10.068) და ქ. ბათუმში, რურუას ქუჩა N1-ის მიმდებარედ 334,0კვ.მ არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ №05.25.10.075) ,,ბათუმი ავარიული სახლების გარეშე" სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემა, შემდგომში მისი პირდაპირი განკარგვის წესით შპს ,,ტექტო ფრანკო 1"-ის საკუთრებაში გადაცემის მიზნით იმ პირობით, რომ მიწის ნაკვეთების საპრივატიზებო (საბაზრო) ღირებულება ჯამში 610281,0 (ექვსასი ათი ათას ორას ოთხმოცდაერთი) ლარი ჩაირიცხება ქალაქ ბათუმის ბიუჯეტში 2024 წლის 31 დეკემბრამდე.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი გაიზრდება მიწის ნაკვეთების (ს/კ №05.25.10.068 და ს/კ №05.25.10.075 ) ჯამში საბაზრო ღირებულებით – 610281,0 ლარით.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი";

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის**
**მერიის მუნიციპალური ქონების და**
**სერვისების მართვის სამსახურის უფროსი**
**დავით კოპინაძე**